



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/8475
31/08/2021

8475-15-3-2-202108311355



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

წლების განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველს მომართავს არაერთი პატიმარი, რომლებიც აპელირებენ პენიტენციურ დაწესებულებებში მათი უფლებების დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტიანობის პრობლემაზე. გახშირებული მომართვიანობის გამო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობის ხარისხი ჩვენი შესწავლის საგანი გახდა. აპარატმა შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის¹ საქმიანობის პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები

¹ ამჟამად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი.

გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მოცემული კვლევის შედეგები აისახა საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ.“²

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი საქმე, სადაც სამწუხაროდ, კვლავაც გამოვლინდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ სამსახურებრივი შემოწმების არაჯეროვნად ჩატარების ფაქტი. ამჯერად, საქმე ეხება პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელი პირის გულგრილ დამოკიდებულებას სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიმართ.

კერძოდ, 2020 წლის 25 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის [REDACTED] პენიტენციური დაწესებულების ყოფილმა თანამშრომლებმა [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED]. წარმოდგენილ განცხადებებში ხსენებული პირები მიუთითებდნენ [REDACTED] პენიტენციური დაწესებულების დირექტორისა და ადმინისტრაციის სხვა ხელმძღვანელი პირების მხრიდან ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ფაქტებზე. აღნიშნული საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ მოცემულ საქმეზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში სამსახურებრივი შემოწმება არაჯეროვნად ჩატარდა, რამაც ხელი შეუშალა განმცხადებლების მიერ მითითებული რიგი დარღვევების შესწავლასა და გამოვლენას.

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. [REDACTED] ეპიზოდი

წარმოდგენილ განცხადებაში მოქალაქე [REDACTED] მიუთითებდა, რომ 2019 წლის 7 ოქტომბერს პენიტენციური დეპარტამენტის [REDACTED] დაწესებულებაში გამართულ თათბირზე, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა [REDACTED] დაავალა დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში მუშაობა, რაზეც განაცხადა უარი სათანადო გამოცდილების არქონის გამო.

[REDACTED] მტკიცებით, მოგვიანებით, დაწესებულების დირექტორის მოადგილემ [REDACTED] და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა [REDACTED] მოსთხოვეს სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკის შედგენა.

² საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4923.pdf>>.

წარმოდგენილ განცხადებაში ამავე ფაქტზე მიუთითა მოქალაქე [REDACTED] და განმარტა, რომ მათი განცხადების საფუძველზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ფაქტზე დაიწყო სამსახურებრივი შემოწმება.

1.2. დარღვევებით ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება

[REDACTED] და [REDACTED] თქმით, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი [REDACTED] რიგი დარღვევებით ატარებდა სამსახურებრივ შემოწმებას. კერძოდ, მას შემდეგ, რაც გამოკითხა დაწესებულების თანამშრომლები, ამ უკანასკნელმა ყველა გამოკითხვის ოქმი გადასცა პენიტენციური დეპარტამენტის [REDACTED] დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების თანამშრომელს [REDACTED] გამოკითხული პირებისთვის გადასაცემად და ხელმოსაწერად. შესაბამისად, აღნიშნულ პირებს მიეცათ გამოკითხვის ოქმებზე წვდომის შესაძლებლობა, რითიც დაირღვა თითოეული მათგანის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

გარდა ამისა, [REDACTED] და [REDACTED] მტკიცებით, [REDACTED] შეხვედრამდე, [REDACTED] დაწესებულების თანამშრომლები შეჰყავდა საკუთარ კაბინეტში და მოითხოვდა მათგან სასურველი ინფორმაციის მიწოდებას სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელი თანამშრომლისთვის.

1.3. [REDACTED] და [REDACTED] ეპიზოდი

მოქალაქე [REDACTED] განმარტა, რომ დაწესებულების დირექტორის პოზიციაზე დანიშვნის შემდეგ, [REDACTED] მისთვის არასასურველი თანამშრომლების მიმართ ახორციელებდა დაშინებას და სამსახურიდან გათავისუფლების მუქარას.

დაწესებულების ხელმძღვანელთა დევნის მსხვერპლი გახდა მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ თათბირზე გააპროტესტა ორდღიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლა, რის შედეგადაც უსაფუძვლოდ დაეკისრა დისციპლინური სახდელი.

მოქალაქე [REDACTED] კი მიუთითა, რომ 2019 წლის დეკემბერში დაწესებულების თანამშრომლებს დაერიცხათ პრემია³. თუმცა, მის მიმართ არ ყოფილა აღნიშნული წახალისების ღონისძიება გამოყენებული მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონია დაკისრებული დისციპლინური სახდელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში საჩივრის შეტანის შემდეგ, დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან განიცდიდა დევნას.

1.4. დაწესებულების ხელმძღვანელთა მხრიდან თანამშრომელთა იძულების ეპიზოდი

[REDACTED] და [REDACTED] სახალხო დამცველის აპარატში შემოტანილ განცხადებებში მიუთითებდნენ, რომ წლების განმავლობაში, დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ თანამშრომლებს დავალებული ჰქონდათ მსჯავრდებულთა

³ აღსანიშნავია, რომ თანამშრომელთა წახალისების პროცესში დისკრიმინაციის ფაქტზე მიუთითებს ოთხივე განმცხადებელი.

სიგარეტით უზრუნველყოფა, რის გამოც იძულებული ხდებოდნენ კუთვნილი ხელფასით შეეძინათ სიგარეტი და თუთუნი პატიმრებისთვის.

1.5. სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული რეაგირება

██████████, ██████████, ██████████ და ██████████ განცხადებების საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს და შემდგომი რეაგირების მიზნით გადაუგზავნა წარმოდგენილი განცხადებები⁴.

ამასთან, აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში ██████████, ██████████, ██████████, ██████████ და სხვა პირთა მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ფაქტებზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები⁵.

მასალების თანახმად, სამსახურებრივი შემოწმება ჩატარდა ██████████, ██████████, ██████████ და ██████████ მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტებზე. ხსენებული პირები, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისთვის (სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობა და სამსახურის 5 დღეზე მეტი ხნით მიტოვება) გათავისუფლდნენ სამსახურიდან. ხოლო, ██████████ პენიტენციური დაწესებულების დირექტორის, მისი მოადგილეების, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსის და ამავე განყოფილების კორპუსის ოფიცრების ქმედებაში არ გამოიკვეთა დისციპლინური გადაცდომის ნიშნები და შესაბამისად, არ არსებობდა მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, განმცხადებლებს ახსნა-განმარტებები ჩამოერთვათ 2020 წლის 10 იანვარს. ახსნა-განმარტებების მიცემისას განმცხადებლებისგან მიღებული ინფორმაცია, ძირითადად ეხება მხოლოდ მათ მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტს და სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელი პირის მიერ დასმული კითხვებიც მხოლოდ ამ საკითხს მიემართება. გამოკითხული პირები არ საუბრობენ იმ პრობლემურ საკითხებზე, რომლებსაც დეტალურად აღწერენ მოგვიანებით აპარატში წარმოდგენილ განცხადებებში. სამწუხაროდ, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, საერთოდ არ განხორციელებულა რეაგირება აპარატის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში გადაგზავნილი განცხადებების საფუძველზე. სამსახურებრივი შემოწმების მასალებში არ ჩანს არცერთი მოქმედება, რომელიც განხორციელდა აპარატის მიმართვის შედეგად და მიზნად ისახავდა მასში აღწერილ შესაძლო კანონდარღვევის ფაქტების გადამოწმებას.

⁴ აპარატის 2020 წლის 27 თებერვლის N15-3/2402 წერილი.

⁵ მასალები აპარატში წარმოდგენილ იქნა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 17 თებერვლის №39309/01 წერილით.

აღსანიშნავია, რომ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, 2021 წლის 18 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და გაესაუბრა [REDACTED] და [REDACTED]. მათი განმარტებით, სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელ პირს დეტალურად მიაწოდეს ინფორმაცია მათ მიერ დასახელებული პრობლემების შესახებ, თუმცა ამ უკანასკნელმა განუცხადა, რომ ეს საკითხები არ ეხებოდა მიმდინარე სამსახურებრივ შემოწმებას და შესაბამისად, მიწოდებული ინფორმაცია არ ასახა შესაბამის ახსნა-განმარტებებში.

2. სამართლებრივი დასაბუთება და წინამდებარე საქმის ანალიზი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციები, სტრუქტურა და საქმიანობის წესი რეგულირდება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანებით.

ხსენებული ბრძანების მე-8 მუხლის თანახმად:

„გენერალური ინსპექციის ფუნქციებია:

...;

ბ) სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი, შესაძლო დარღვევის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება, ამ დებულებით დადგენილი წესით და შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

გ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამსახურებრივი მოვალეობებისა და მოთხოვნების შესრულებისა და დისციპლინის დაცვის კონტროლი, დარღვევის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

...“

ბრძანების მე-10 მუხლის თანახმად:

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო:

ა) უზრუნველყოფს სამინისტროს გამგებლობის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლს, შესაძლო დარღვევის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას ამ დებულებით დადგენილი წესით;

ბ) უზრუნველყოფს ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, სამინისტროს სისტემაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენას, შესაბამისი დასკვნისა და მოხსენებითი ბარათის შემუშავებას;

...“

ამასთან, მითითებული ბრძანების მე-12 მუხლის თანახმად:

ინსპექტირების სამმართველო:

ა) გენერალური ინსპექციის უფროსის გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფს:

ა.ა) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი,

სამსახურებრივი მოვალეობებისა და მოთხოვნების შესრულების კონტროლს;

ა.ბ) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი,

სამსახურებრივი დისციპლინის დაცვის ზედამხედველობას;

ბ) ამ დებულებით დადგენილი წესით ატარებს სამსახურებრივ შემოწმებას:

ბ.ა) ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დარღვევების გამოვლენისას;

...“

გარდა ამისა, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გენერალური ინსპექციის მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და მინისტრის მიერ დამტკიცებული სამუშაო აღწერილობით.

სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს⁶ და გამოითხოვა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა, თუმცა, სამწუხაროდ აპარატს არ მიუღია გამოთხოვილი ინფორმაცია.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი, დებულებით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო ზემოთ ხსენებული სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გულდასმით შეემოწმებინა [REDACTED], [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] მიერ დაფიქსირებული ყველა პრეტენზია მათი უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ, რასაც ჩვენი აზრით, სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას ადგილი არ ჰქონია.

კერძოდ, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში შესწავლილ იქნა მხოლოდ [REDACTED] პენიტენციური დაწესებულების ხსენებული თანამშრომლების მიერ სამსახურში გამოუცხადებლობის ფაქტები და ყურადღება საერთოდ არ გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან და საყურადღებო გარემოებაზე, რომლებიც ასევე უნდა გამხდარიყო

⁶ აპარატის 2021 წლის 29 მარტის N15-3/3004 წერილი.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდან შესწავლის საგანი.

მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ [REDACTED], [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] მიერ წარმოდგენილი განცხადებების გადაგზავნის შემდეგ, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა საერთოდ არანაირი რეაგირება არ განახორციელა ხსენებულ განცხადებებში დაფიქსირებულ არაერთ შესაძლო დარღვევაზე.

კერძოდ, საერთოდ არ იქნა შესწავლილი [REDACTED] მიერ 2019 წლის 7 ოქტომბერს სამსახურებრივი გადაცდომის ჩადენის ფაქტებზე წარმოებული სამსახურებრივი შემოწმებისას ჩადენილი შესაძლო დარღვევები, რომლებზეც [REDACTED] და [REDACTED] დეტალურად მიუთითებდნენ აპარატში წარმოდგენილ განცხადებებში.

მაგალითად,

(1) არ შემოწმებულა, მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელ [REDACTED] მიერ სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების დროს იმ დარღვევებს, რის შესახებაც განმცხადებლები მიუთითებდნენ წარმოდგენილ განცხადებებში. სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი პირი არ დაინტერესებულა, დაირღვა თუ არა [REDACTED] პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, მაშინ როდესაც მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა [REDACTED] ჩამორთმეული ახსნა-განმარტებების ამსახველი დოკუმენტები გადასცა დაწესებულების ერთ-ერთ თანამშრომელს დოკუმენტებზე ხელმოწერის მიზნით, რის შესახებაც განმცხადებლები მიუთითებდნენ და გამოთქვამდნენ პრეტენზიას განცხადებებში.

(2) არ შემოწმებულა არც ის, მართლაც მოითხოვდა თუ არა [REDACTED] პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისგან მისთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდებას ახსნა-განმარტებების ჩამორთმევისას.

(3) ასევე, განსაკუთრებით საგანგაშოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ საერთოდ იგნორირებულია [REDACTED] და [REDACTED] განცხადებები [REDACTED] პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელთა მხრიდან პატიმართათვის სიგარეტის შეძენის დავალებულების ფაქტების შესახებ, რომლებსაც, მათივე მტკიცებით, ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით [REDACTED] სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას განმარტა, რომ პატიმრებისთვის სიგარეტის და თუთუნის შეძენის დავალებულება დაწესებულების თანამშრომლებისთვის დაიწყო 2016 წლიდან. კერძოდ, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი [REDACTED] თანამშრომლებს ეუბნებოდა, რომ თუ სურდათ მშვიდი მორიგობა, სიგარეტი

უნდა შეეძინათ იმ პატიმრებისთვის, ვისაც არ ჰქონდათ საამისო მატერიალური საშუალება. როგორც [REDACTED] განმარტა, არაერთი თანამშრომელი გამოხატავდა უკმაყოფილებას აღნიშნულის გამო, თუმცა, დავალების შესრულება იძულებით მაინც უწევდათ, რადგან შეუსრულებლობის შემთხვევაში, ისინი გახდებოდნენ დაწესებულების ხელმძღვანელთათვის მიუღებელი პირები და მოხვდებოდნენ მტრულ გარემოში, რასაც თანამშრომლები თავს არიდებდნენ. აღნიშნული ფაქტები ასევე დაადასტურა [REDACTED].

დასახელებული ფაქტების გადამოწმების მიზნით, სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელ სპეციალისტს:

- არ ჩამოერთმევია ახსნა-განმარტება პენიტენციური დაწესებულების არცერთი თანამშრომლისთვის;
- არ გამოუკითხავთ დაწესებულებაში განთავსებული პატიმრები;
- [REDACTED] და [REDACTED] ახსნა-განმარტებების ჩამორთმევისას არ ყოფილა დასმული არცერთი კითხვა აღნიშნული მიმართულებით.

ამრიგად, როდესაც პენიტენციური დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები მიუთითებენ ისეთ მნიშვნელოვან დარღვევებზე, რომელთა შემოწმება არა თუ არ ხდება სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას, არამედ საერთოდ იგნორირებულია, ბუნებრივია, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ვერ მიიჩნევა ობიექტურ და სრულყოფილ რეაგირებად ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე.

[REDACTED], [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების უგულებელყოფაზე ასევე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ სამსახურებრივი შემოწმების მასალებს არ ერთვის ხსენებული პირების მიერ სახალხო დამცველის სახელზე შედგენილი ის განცხადებები, რომლებიც სახალხო დამცველის აპარატის მიერ იქნა გადაგზავნილი სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტში შესწავლის მიზნით⁷. ეს კი დასაბუთებულად გვაფიქრებინებს, რომ მონიტორინგის დეპარტამენტს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია სახალხო დამცველის აპარატის მიმართვის და აპარატის მიერ მითითებული სავარაუდო უფლებადარღვევის კონკრეტული გარემოებებისთვის.

საბოლოოდ, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, სამწუხაროდ, არ იქნა შესწავლილი ხსენებულ განცხადებებში მითითებული მნიშვნელოვანი დეტალები და შემოწმება შემოიფარგლა მხოლოდ განმცხადებელთა მხრიდან სამსახურის უნებართვოდ მიტოვების ეპიზოდებით, რაც ჩვენი შეფასებით, ვერ მიიჩნევა განმცხადებელთა მიერ მითითებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების გადამოწმების მიზნით პროპორციულ, სრულყოფილ და ობიექტურ რეაგირებად.

⁷ სამსახურებრივი შემოწმების მასალებს თან ერთვის [REDACTED], [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] მხოლოდ შრომითი უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლის ფარგლებში გაგზავნილი აპარატის წერილები.

3. დასკვნა

ამრიგად, მონიტორინგის დეპარტამენტის მსგავსი დამოკიდებულება ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების მიმართ და ამავდროულად, სახალხო დამცველის აპარატის მიმართვაზე რეაგირების მიმართულებით გამოვლენილი მსგავსი დამოკიდებულება, ვერ შეუწყობს ხელს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნებს.

წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის კონკრეტულმა თანამშრომელმა⁸ სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა არასრულყოფილად, კერძოდ, უფლებელყო [REDACTED], [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] მიერ განცხადებებში მითითებული არსებითი ხასიათის ინფორმაცია მათი უფლებების დარღვევის შესახებ და არ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება ჯეროვნად, რამაც ხელი შეუშალა განმცხადებლების უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლას და გამოვლენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყეთ დისციპლინური საქმისწარმოება [REDACTED], [REDACTED] და [REDACTED] მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე არასრულყოფილი სამსახურებრივი შემოწმების ჩამტარებელი პირის მიმართ.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 450 (ოთხასორმოცდაათი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი



⁸ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები აპარატში წარმოდგენილ იქნა დეპერსონიფიცირებული სახით, [REDACTED] და [REDACTED] მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა [REDACTED].